ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს შორის შრომისა და სოციალურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო, შემდგომში `მხარეებად~ წოდებულნი,

მხარეებს შორის შრომისა და სოციალურ საკითხებში წარმატებული ორმხრივი თანამშრომლობის პრინციპებიდან გამომდინარე,

ხელმძღვანელობენ რა მხარეებს შორის არსებული თანამშრომლობის შენარჩუნებისა და გაფართოების სურვილით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები თანხმდებიან განავითარონ თანამშრომლობა შრომისა და სოციალურ საკითხებში წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმისა და მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 2

წინამდებარე ურთიერთგაგების მეორანდუმის ფარგლებში მხარეებს შორის თანამშრომლობა წარიმართება შემდეგი მიმართულებით:

ა) გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა შრომისა და სოციალურ საკითხებში, ორმხრივი კონსულტაციების გამართვა;
ბ) თანამშრომლობის გაფართოება მხარეების შესაბამის უწყებებს შორის;
გ) მხარეების წარმომადგენლების, სპეციალისტებისა და ექსპერტების ორმხრივი ვიზიტების უზრუნველყოფა;
დ) სემინარების და კონფერენციების ორგანიზება ორმხრივი ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

მუხლი 3

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებათა შემდგომი განვითარებისა და შრომისა და სოციალურ საკითხებში თანამშრომლობის ფარგლების გაფართოების მიზნით, მხარეები, სადაც ეს აუცილებელია, გააფორმებენ შესაბამის შეთანხმებებს.

ხელმოწერილია ქალაქ ერევანში 2011 წლის 24 მაისს ორ ორიგინალ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე, თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელით	სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს სახელით